4
Ე-402

ᲘᲕᲐᲜᲔ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ

ᲮᲔᲚᲜᲐᲬᲔᲠᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲘᲗ

ᲜᲘᲜᲝ ᲕᲐᲚᲔᲠᲘᲐᲜᲘᲡ ᲐᲡᲣᲚᲘ ᲓᲕᲐᲚᲘᲫᲔ

ᲞᲣᲑᲚᲘᲪᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲢᲔᲥᲡᲢᲘᲡ ᲗᲮᲠᲝᲑᲘᲗᲘ ᲓᲘᲜᲐᲛᲘᲙᲘᲡ ᲚᲘᲜᲒᲕᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ (ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲔᲜᲝᲕᲐᲜᲘ ᲔᲡᲔᲘᲡ ᲛᲐᲡᲐᲚᲐᲖᲔ)

ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲐ 10.02.04
ᲠᲝᲛᲐᲜᲣᲚ-ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲙᲣᲚᲘ ᲔᲜᲐᲗᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ

Ａ Ｖ Ｔ Ｏ Ｒ Ｅ Ｆ Ｅ Ｒ Ａ Ｔ Ｉ

ᲤᲘᲚᲝᲚᲝᲒᲘᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘᲡ
ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲞᲝᲕᲔᲑᲚᲐᲓ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ
2001

ᲨᲔᲛᲝᲡᲣᲚᲘᲐ №. 48
14 " 11 2001

ნაშრომი შესრულებულია თბილისის
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური
ფილოლოგიის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი რუსუდან ენუქიძე

ოფიციალური ოპონენტები: 1. ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი
ია ფსაკაძე
2. ფილოლოგიის მეცნიერებათა
კანდიდატი, დოცენტი
დოდო მგელაძე

-1826-

დისერტაციის დაცვა შედგება 26 XII 2001 წლის 14⁰⁰ საათზე
ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის №10.01#7 საბჭოს სხდომაზე. (ქ. თბილისი, I
ჭავჭავაძის გამზირი №1, კორპუსი I)

დისერტაციის გაცნობა შეიძლება თსუ სამეცნიერო
ბიბლიოთეკაში

ავტორეფერატი დაიგზავნა 12 " ნოემბერს " 2001 წ.
"_____"

სადისერიაციო საბჭოს სწავლული მდივანი
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი გ.წიბახაშვილი

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

სადისერტაციო ნაშრომი ეძღვნება ინგლისურენოვანი ესეის თხრობითი დინამიკის ზოგიერთ თავისებურებას. კერძოდ, თხრობითი დინამიკის ლინგვისტურ ორგანიზაციას პუბლიცისტური ჟანრის ერთ-ერთი სახეობის — ესეის ტექსტობრივ სტრუქტურაში. ტექსტობრივ კატეგორიათა სისტემაში თხრობით დინამიკას, ანუ თხრობით კონტინუუმს განვიხილავთ, როგორც ტექსტის არსებობის ფორმას და ამდენად მივიჩნევთ მას, ტექსტის ერთ-ერთ უზოგადეს და არსებით კატეგორიად. ცხადია, ნარატული დინამიკის ლინგვისტური თავისებურებანი განსხვავებული იქნება ჟანრობრივი სახეობის მიხედვით, და რა თქმა უნდა, ესეისაც საკუთრივ მისთვის დამახასიათებელი თავისებურებები ექნება. ჩვენს შემთხვევაში თხრობითი დინამიკა წარმოდგენილია, როგორც ტექსტის სხვადასხვა გავრცობის სეგმენტების ანუ თხრობითი კონტინუუმის დისკრეტული ელემენტების თანამიმდევრული მონაცვლეობა.

საკვლევი თემის აქტუალობა განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ამჟამად ენათმეცნიერებაში დიდი ყურადღება ეთმობა პრობლემებს, რომლებიც დაკავშირებულია ტექსტის უზოგადეს მახასიათებლებთან ანუ მის კატეგორიებთან.

დავინტერესდით ესეის ტექსტში თხრობითი დინამიზმით — ესეისთვის ეს არსებითი მახასიათებელია. მხატვრულ ტექსტში ნარატული დინამიკა სიუჟეტურ ხაზზე დისკრეტული ელემენტების — ხდომილებათა, სიტუაციათა მონაცვლეობითაა რეალიზებული. ესეის ტექსტში არ არის სიუჟეტური ხაზი, არც ლოკაციური კოორდინატების თანმიმდევრული მონაცვლეობაა. მაშ რა ქმნის ესეის ტექსტში თხრობის ესოდენ "მძლავრ დინებას?".

წარმოდგენილ ნაშრომში შევეცადეთ დაგვედგინა ტექსტის ის დისკრეტული მონაკვეთები და მათი მონაცვლეობის აღმნიშვნელი ის ენობრივი ერთეულები, რომელთა ერთობლიობა ქმნის თხრობით დინამიზმს.